

სალომე ომიაძე

თხზულ სახელთა ნაირგვარი დაწერილობისათვის მედიატექსტებსა და ლექსიკონებში

კომპოზიცია, როგორც უნივერსალური მოვლენა, ყველა ენის სიტყვაწარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა არსებულ სიტყვა-ფუძეთა შეერთებით მუდმივი პროცესია და ენათა განვითარების ნებისმიერ საფეხურზე აქტუალურია.

თხზვის პროცესი, ამ პროცესის მონაწილე ერთეულები და კომპოზიტები, როგორც მისი საბოლოო შედეგი, ქართულში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. აღნიშნულთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ზედმიწევნითაა განხილული აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ს. ჯანაშიას, ა. კიზირიას, მზ. მრევლიშვილის, მ. ჭაბაშვილის, ვ. იმნაიშვილისა თუ სხვათა ნაშრომებში, თუმცა მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა ვერც ჟურნალისტებსა და ვერც ენის სხვა მომხმარებლებს შეცდომებისაგან ვერ იცავს.

თანამედროვე ბეჭდურსა თუ ელექტრონულ მედიატექსტებში ორთოგრაფიულ შეცდომათა დიდი წილი სწორედ კომპოზიტების უმართებულო დაწერილობას ეკუთვნის. შეცდომათა რიცხვს ისიც ზრდის, რომ, სხვა სიტყვებთან შედარებით, თითოეული კომპოზიტის წერისას ორთოგრაფიული საფრთხე იმთავითვე მეტია – სამი ალტერნატიული ვარიანტიდან: შერწყმულად, დეფისით თუ ცალ-ცალკე – ორი დაწერილობა მცდარია.

ქართულში თხზულ სახელთა შექმნისათვის პროდუქტიულ მასალად მსაზღვრელ-საზღვრული გვევლინება. ამ ტიპის კომპოზიტები განსხვავდებიან კომპონენტთა ადგილის, მათ შორის არსებული სემანტიკური მიმართებისა თუ ამ კომპონენტთა ერთობით გამოსახატავი მნიშვნელობის მიხედვით, დერივაციული აფიქსების მონაწილეობა-არმონაწილეობითა და სხვა ნიშნებითაც, მაგრამ კომპოზიტად ქცეულ ყველა მსაზღვრელ-საზღვრულს ის აერთიანებს, რომ შერწყმულად იწერება, უფრო სწორად, უნდა იწერებოდეს.

ჩვენ საანალიზოდ ავირჩიეთ მსაზღვრელიანი კომპოზიტები, რომლებიც პრეპოზიციური წყობის მსაზღვრელ-საზღვრულის შეერ-

თებითაა მიღებული. შეცდომები ჭარბობს იმ შემთხვევაში, როდესაც თხზულ სახელში შემავალი ლექსიკური ერთეულები უცხო ენებიდან შემოსული სიტყვებია. დიდი ხანია, რაც საერთაშორისო სიტყვა **ბიზნესმა** ქართულ დისკურსშიც დაიმკვიდრა ადგილი. დღეს ბიზნესთან და მის განვითარებასთან დაკავშირებულ მრავალ სიტყვა-ტერმინს ვიყენებთ ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში. მათ შორის ზოგი ინტერნაციონალიზმია, როგორცაა **ბიზნესმენი**, **ბიზნესშოუ**, **ბიზნესკლასი** და სხვ., ზოგი კი ამ სტატუსს არ იმსახურებს იმიტომ, რომ საზღვრულად ქართული სიტყვა აქვს, ასეთია **ბიზნესგეგმა**, **ბიზნესწინადადება**, **ბიზნესშეთავაზება** თუ სხვ. **ბიზნესმენის** გარდა, ყველა სხვა დასახელებული და მსგავსი კომპოზიტი თანამედროვე ბეჭდურ ტექსტებში სამგვარი დაწერილობით გვხვდება – ორ სიტყვად, შერწყმულად ან დეფისით. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ზოგიერთი თხზული სახელის უმართებულოდ დაწერის მიზეზი თუ მოტივი უცხო ენის ორთოგრაფიის მშობლიურ ენისაზე უკეთ ცოდნა იყოს. ვერც **ბიზნესმენის** უშეცდომოდ დაწერისთვის შევავასებთ ვინმეს ქართული ორთოგრაფიის მცოდნედ, რადგან **ბიზნესმენში** მისი თხზულობა „წაშლილია“ და იგი იმთავითვე ერთ ცნებად აღიქმებოდა.

თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციის უკიდევანო ზრდამ, მისი მიღება-გადაცემის ორგანიზების განვითარებამ, ინფორმაციის გადამამუშავებელ ტექნოლოგიათა პროგრესმა აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებული ბევრი ახალი სიტყვა წარმოშვა, რომელთა უმრავლესობა უთარგმნელად შევიდა სხვადასხვა ენაში, მათ შორის, ქართულშიც და დედაენობრივი სიტყვების მსგავსად კომპოზიციურ მასალადაც იქცა. სიტყვა კომპიუტერიდან თუ ენამ საკუთარი მოდელების მიხედვით ავტონომიური მართული და შეთანხმებული მსაზღვრელები – **კომპიუტერის** (მაგ., კომპიუტერის მეხსიერება) და **კომპიუტერული** (მაგ., კომპიუტერული თამაშები) – აწარმოა, **ინტერნეტის**, **მედიისა** და **ონლაინის** შემთხვევაში უპირატესობა მიანიჭა დასახელებულ ერთეულთა მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის კომპოზიტებში მსაზღვრელებად გამოყენებას. ორთოგრაფიული პრობლემა – შერწყმულად, ცალ-ცალკე თუ დეფისით – ჩვენი საანალიზო ტექსტების მიხედვით, ამ შემთხვევაშიც პრობლემად რჩება. საგანგებოდ აღსანიშნავია ის მიკროკონტექსტები, რომლებშიც ერთი და იგივე ერთეული სამივენაირად წერია. ამგვარი რამ მინიმალური

ენობრივ-დისკურსული კომპეტენციის მქონე პირსაც არ ევატიება, არათუ ლექსიკონის შემდგენლებს, რომლებიც, მაგალითად, ერთი გვერდის ფარგლებში **ონლაინლექსიკონს** ხან დეფისით წერენ, ხან – ცალ-ცალკე, მართებულ დაწერილობას კი ვერც იმ ერთ გვერდსა და ვერც მის მომდევნო გვერდებზე ვერ ნახავთ.

ბუნებრივია, ყველა სიტყვა ორთოგრაფიულ ლექსიკონში ვერ მოხვდება, თუმცა არც ყველა სიტყვის დასაწერად არის საჭირო ლექსიკონში ჩახედვა. ლინგვისტური ცოდნის გარეშე, დედაენობრივი ალლოთი და ორთოგრაფიული გამოცდილებით კულტურული კომუნიკანტი უნდა ხვდებოდეს, რომ **„ინტერნეტ მაღაზია“** ცალ-ცალკე ვერ დაიწერება იმიტომ, რომ რაიმეს სახელდებისას (ანუ სახელობით ბრუნვაში) თანხმოვნით დაბოლოებული მსაზღვრელი სიტყვა ქართულში არ გვხვდება, ვერც დეფისით დაიწერება იმიტომ, რომ მისით გამოსახატავი მნიშვნელობა **ინტერნეტსა** და **მაღაზიას** არ გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო ტექსტებში დეფისიანი დაწერილობა ჭარბობს მაშინ, როდესაც მსაზღვრელი უცხო წარმოშობისაა, საზღვრული კი ქართული სიტყვაა, თუმცა ამას ორთოგრაფიის მხრივ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ერთნაირად, შერწყმულად უნდა დაიწეროს **ინტერნეტსერვისიცა** და **ინტერნეტმომსახურებაც**, **მედიამენეჯმენტიცა** და **მედიამართვაც**, **ონლაინკაზინოცა** და **ონლაინსამორინეც** (**ონლაინთამაშებიც**), **ვებსაიტიცა** და **ვებგვერდიც**.

განსახილველი კომპოზიციები ახალგაჩენილია და მათი მართლწერა მათივე მსგავსი სტრუქტურის იმ თხზულმა სიტყვებმა უნდა გვიკარნახოს, რომლებიც უკვე ფეხმოკიდებულია ქართულში და სალექსიკონო ერთეულებადაცაა ქცეული. მაგალითად, **ბიზნესკლუბის** დასაწერად, რომელიც „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ არ გვხვდება, **ბიზნესცენტრის** დაწერილობით უნდა ვიხელმძღვანელოთ, **მედიაცენტრი** **პრესცენტრის** მიხედვით უნდა დავწეროთ, **პრესრელიზი** **პრესპაპიის** მსგავსად და ა. შ. ჩვენთვის საინტერესო ერთეულები, ცხადია, უცხო სიტყვათა ლექსიკონებში უფრო მეტია, ვიდრე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში. დღევანდელ აჩქარებულ დროში ადამიანები ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებებს ანიჭებენ უპირატესობას, ბუნებრივია, ონლაინლექსიკონებს მეტი მომხმარებელი ჰყავს, ვიდრე ნაბეჭდ წიგნებს. ინ-

ტერნეტსივრცეში უცხო სიტყვათა არაერთი დიდი თუ მცირე განმარტებითი ლექსიკონია განთავსებული, რომლებიც ძირითადად მიხეილ ჭაბაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონის სამი გამოცემიდან (I გამოც. – 1964; II – 1973; III – 1989) ერთ-ერთს ეყრდნობა. ამ გამოცემებში კი კომპოზიტა დაწერილობა არცთუ იშვიათად დედან ენათა ორთოგრაფიას მიჰყვება, დეფისითაა დაწერილი, მაგალითად, ისეთი რთული სიტყვები, როგორებიცაა **პრეს-ბიურო**, **პრეს-ატაშე**, **პრეს-პაპიე**, **პრეს-კონფერენცია** კი. დასახელებული ერთეულები შერწყმულად წერია ბეჭდურსა თუ ელექტრონულ ორთოგრაფიულ ლექსიკონებში. ორივე შემთხვევით არ გვიხსენებია. ელექტრონული ორთოგრაფიული ლექსიკონი, მართალია, ბეჭდურის ბაზაზეა შექმნილი, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ერთეულთაგან რამდენიმე განსხვავებული დაწერილობითაა წარმოდგენილი, სახელდობრ, შერწყმულად წერია **პრემიერმინისტრი**, **პრიმაბალერინა**, **ვიცეპრეზიდენტი**, **მინიკაბა**, **მინირეცენზია**, **მეცოსოპრანო**, **ატაშეკეისი**, **გალაკონცერტი**. დასახელებულ კომპოზიტთა უმარტებულო დაწერილობაზე მსჯელობდა ბატონი ვახტანგ იმნაიშვილი 2000 წელს თავის მოხსენებაში „რთულ სიტყვებსა და შესიტყვებებში დეფისის ხმარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ“ და არც გაგვკვირვებია, როცა ელექტრონულ ლექსიკონში, რომლის ერთ-ერთი შემდგენელიც ბატონი ვახტანგია, ჩამოთვლილი კომპოზიტები შერწყმულად დაწერილი ვნახეთ. ჩვენ სხვა რამემ გაგვაკვირვა, ერთი იმან, რომ „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ დამატება-შესწორებანის მიხედვით დეფისით უნდა დაიწეროს **პენ-კლუბი**, **პოპ-მუსიკა**, **როკ-ბანდი**, **როკ-მუსიკა**, **როკ-ოპერა** და მეორე იმან, რომ ბატონი ვახტანგის მახვილ თვალს ეს გამორჩა. ვიფიქრებდით, რომ ლექსიკონის ბოლო, დამატებითი ნაწილი მას არ განუხილავს, მაგრამ დასახელებულ მოხსენებაში ბატონმა ვახტანგმა იმსჯელა ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს სახელწოდებაზე, რომელიც ლექსიკონის სწორედ ამ ნაწილშია დეფისით დაწერილი. მან მაშინ სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ **ასო-შიეტიდ-პრესს** დეფისი არ სჭირდება ისევე, როგორც **ფრანსპრესს**, საფრანგეთის საინფორმაციო სააგენტოს სახელს, რომელიც იმავე მეორე შევსებული გამოცემის 496-ე გვერდზე შერწყმულად წერია.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ელექტრონულ ლექსიკონებს უფრო მეტი მოიხმარს, მაგრამ დაინტერესებულსა და დაკვირვებულ მკო-

თხველს, თუნდაც ცოტას, „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ძირითად ნაწილში შერწყმულად დაწერილ **ჯაზორკესტრსა** და დამატებულ ნაწილში დეფისით დაწერილ **როკ-ბანდს** შორის მართებული ფორმის უშეცდომოდ განსაზღვრა ნამდვილად გაუჭირდება, მით უფრო, რომ მცდარად დაწერილი როკ-ბანდი ლექსიკონის იმ ნაწილშია, რომელსაც **დამატება-შესწორებანი** ჰქვია.

მსაზღვრელ-საზღვრულის შეერთებით მიღებული კომპოზიტები, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკონებში უნდა დაიწეროს შერწყმულად, რათა თავიდან ავიცილოთ ორთოგრაფიულად მცდარ ფორმათა ტირაჟირება.

ლიტერატურა

თოფურია, გიგინეიშვილი 1998 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე შესვებული გამოცემა, თბილისი.

ჭაბაშვილი – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, I გამოც., თბ., 1964; II – 1973; III – 1989.

Salome Omiadze

On Diverse Spelling of Compounds in Media Texts and Dictionaries

Summary

Productive material for producing compounds in Georgian is a syntagm. This type of compounds differ from one another in the position, the semantic interrelation or the meaning of components, derivational affixes and in other ways but all the syntagms turned into compounds

have one thing in common – they are written, or rather, should be written as integrals.

The paper analyzes compounds with modifiers that are produced by combining a modifier and its head in a prepositional sequence. There are more mistakes in the cases where the lexical units of a compound are words adopted from foreign languages, e. g. *media menežmenți*, *media-menežmenți* instead of the correct spelling of ***mediamenežmenți*** "media management". The examples of incorrect spelling have been identified in the media texts as well as in dictionaries.

In order to avoid the circulation of orthographically incorrect spelling a compound produced by combining a modifier and its head should be written as a whole.